განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემუშავებული „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“ დოკუმენტის თანახმად, ეფექტიანი თავდაცვის დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს ,,ტოტალური თავდაცვის“ მიდგომას, რომელიც გულისხმობს თავდაცვის უზრუნველყოფას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სრული ეროვნული ძალისხმევით, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო რესურსების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომის წარმატებით იმპლემენტაციისათვის, მათ შორის რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემის შექმნისათვის, „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის ფარგლებში უნდა განხორციელდეს:

- მობილური და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების განვითარება, რომელიც ეფუძნება მოქმედი და სარეზერვო ძალების ბალანსს;
- რეზერვის და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება რეზერვისტების მომზადებისაკენ, მათი მართვისა და კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაში მოსახლეობის ფართო ჩართულობისაკენ;
- რეზერვის და მობილიზაციის სისტემის განვითარების მიზნით პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა, მათი გამოცდილების გაზიარება;
- საომარი მდგომარეობის დროს, შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სარეზერვო ძალების მობილიზება და ა.შ.

შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, ნათლად დაგვანახა ჩვენს ქვეყანაში რეზერვის სისტემის განვითარების აუცილებლობა. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს განვითარებული მოვლენები, როდესაც რეზერვის ძალების დაგეგმვისა და გამოყენების, ასევე მართვისა და კონტროლის დროს დაშვებული სისტემური ხასიათის შეცდომების გამო, არსებული რეზერვის სისტემით ვერ მოხერხდა მის წინაშე დასმული ამოცანების შესრულება.

საქართველოს წინაშე არსებული სამხედრო ხასიათის საფრთხეები ქვეყანას ძლიერი სარეზერვო სისტემის განვითარების აუცილებლობის წინაშე აყენებს. სწორედ აღნიშნულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე კომპლექსური რეაგირების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შემუშავდა სამხედო ძალების რეზერვის განვითარების კონცეფცია, რომლის ძირითადი პრინციპები მოწონებულ იქნა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, აგრეთვე საქართველოს პარტნიორი ქვეყნების და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ. კონცეფციის ამოცანაა განსაზღვროს რეზერვის ორგანიზებისა და მართვის ახალი პრინციპები, მეთოდები და საშუალებები.

ზემოაღნიშნული კონცეფციის განხორციელების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხედრო ძალების რეზერვის ახალი კანონის შემუშავებასთან დაკავშირებით. მოქმედი კანონის მიხედვით, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციის გამოცხადებისას, გასაწვევი რეზერვში მყოფი მოქალაქეები ვალდებულნი არიან გამოცხადნენ მუნიციპალიტეტების შემკრებ პუნქტებში, სამობილიზაციო უწყებით ნაჩვენებ დროს. მოცემული სისტემა არ იძლევა არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებზე ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას. არსებული მოდელისგან განსხვავებით სარეზერვო სამსახურის განახლებული სისტემა უზრუნველყოფს საჭირო დროს, საჭირო ადგილას, საჭირო სპეციალობის და უნარ-ჩვევების მქონე რეზერვისტების მიყვანას. ბიუროკრატიული პროცედურების სიმცირე ხელს უწყობს სამობილიზაციო დროის მინიმუმამდე დაყვანას.

სამხედრო ძალების რეზერვის ახალი ერთიანი სისტემის შექმნით, სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს სამხედრო ძალების ეფექტიან გამოყენებას ხანგრძლივი დროით. სისტემა უზრუნველყოფს სამხედრო ძალების უმოკლეს ვადებში გაძლიერებას, ასევე დანაკარგების უწყვეტ და შეუფერხებელ შევსებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

რეზერვის და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება რეზერვისტების მომზადებისაკენ, მათი მართვისა და კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაში მოსახლეობის ფართო ჩართულობისაკენ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, სამხედრო სარეზერვო სამსახური იყოფა 2 ძირითად სახედ:

1) აქტიურ სარეზერვო სამსახურად და 2) სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურად. ამასთან, აქტიური სარეზერვო სამსახური შედგება:

- შეიარაღებული ძალების რეზერვისგან;
- ტერიტორიული რეზერვისგან;
- სპეციალისტთა რეზერვისგან.

მოქმედი კანონის მიხედვით, სამხედრო ძალების რეზერვი იყოფა სამ კატეგორიად, ეს არის: ა) აქტიური რეზერვი; ბ) ეროვნული გვარდიის რეზერვი; გ) ინდივიდუალური რეზერვი.

სამხედრო ძალების რეზერვის დანიშნულება - სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება სამხედრო ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად. სამხედრო ძალების ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამდენად, მოქმედი კანონისგან განსხვავებით ახალი კანონპროექტი, ამ ნაწილში აღარ იმეორებს სხვა ნორმატიული აქტებით სამხედრო ძალებისათვის განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს.

<u>**კანონპროექტის თანახმად, სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფი პირის ასაკი განისაზღვრება:**</u>

- შეიარაღებული ძალების რეზერვში - 50 წლამდე
- ტერიტორიულ რეზერვში - 55 წლამდე
- სპეციალისტების რეზერვში - 65 წლამდე
- სამობილიზაციო რეზერვში - 60 წლამდე

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს კანონპროექტის რეგულაცია, რომლის თანახმადაც - 60 წელს გადაცილებული პირი, მისი სურვილის შემთხვევაში შეიძლება დარჩეს ან ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში. აღნიშნული რეგულაცია ხელს შეუწყობს სამობილიზაციო რეზერვში გვყავდეს მაღალპროფესიონალი კადრები.

მოქმედი კანონით, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ასაკი განისაზღვრება 27-დან 40 წლის ჩათვლით, რაც სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის საკმაოდ მწირი რესურსების მობილიზებას განაპირობებს.

<u>აქტიური სარეზერვო სამსახური</u>

<u>აქტიური სარეზერვო სამსახურის საერთო პირობებია:</u>

- აქტიური სარეზერვო სამსახური არის **ნებაყოფლობითი;**
- აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთან (აქტიური რეზერვისტი) ფორმდება კონტრაქტი;
- აქტიურ სარეზერვო სამსახურში მყოფი პირების გამოძახებას უზრუნველყოფს ის ქვედანაყოფი, რომელშიც ირიცხება აქტიური რეზერვისტი;
- აქტიურ სარეზერვო სამსახურში მიღების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით;
- აქტიურ რეზერვში მყოფ პირს, კონტრაქტით სამსახურის მთელი 5 წლიანი პერიოდი ჩაეთვლება შრომის საერთო სტაჟში, ხოლო გამოძახების შემდგომ სარეზერვო სამსახურის პერიოდი - კომპენსაციის დასანიშნ სტაჟში;
- გაწვევის შემთხვევაში რეზერვისტს შეუნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ხელფასი.

<u>აქტიური სარეზერვო სამსახურის პერსონალის რაოდენობა</u> - აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების რაოდენობას, ეროვნული თავდაცვის და სამობილიზაციო გეგმების გათვალისწინებით განსაზღვრავს მთავრობა.

<u>შეიარაღებული ძალების რეზერვის შექმნის მიზანია</u> - სამხედრო ძალების შემადგენლობაში რეზერვისტის დაუყოვნებლივ ჩართვა, მაღალი საბრძოლო მომზადების და საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ასევე შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გაძლიერება და მხარდაჭერა.

<u>შეიარაღებული ძალების რეზერვის დაკომპლექტების წყაროა</u> - საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურიდან, აგრეთვე სამართალდამცავი სისტემის/აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულებათა სისტემის საბრძოლო ქვედანაყოფიდან დათხოვნილი პირი.

ტერიტორიული რეზერვის შექმნის მიზანია - მცირე სამობილიზაციო დროში, შეიარაღებული ძალების დამატებითი საბრძოლო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი ზრდის და ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების გზით. ტერიტორიული რეზერვი შედის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში და ორგანიზებულია ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში, რომლებიც თავის მხრივ, შედგება სამანევრო ელემენტებისგან, აგრეთვე დასახული ამოცანებისა და გეოგრაფიულ არეალს მორგებული ტერიტორიული რაზმებისგან.

ტერიტორიული რეზერვის დაკომპლექტების წყაროა - შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხვის უფლებამოსილება ენიჭება აგრეთვე წვევამდელს, არაუმეტეს 22 წლის ასაკისა, რომელსაც გადავადებული აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური და ერთი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მას სავალდებულო სამხედრო სამსახური ჩაეთვლება მოხდილად.

სპეციალისტთა რეზერვის შექმნის მიზანია - სამხედრო ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების გადაჭრა.

სპეციალისტთა რეზერვის დაკომპლექტების წყაროა - შესაბამისი სამოქალაქო სპეციალობის მქონე მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამოქალაქო სპეციალობების ნუსხას გენერალური შტაბის უფროსის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. სპეციალისტთა რეზერვს არსებულ კანონმდებლობაში ანალოგი არ აქვს.

სამობილიზაციო სარეზერვო სამსახური

სამობილიზაციო რეზერვის მიზანია - სამხედრო ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსება.

სამობილიზაციო რეზერვის დაკომპლექტების წყარო არის პირი, რომელიც:

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეზერვშია დათხოვნილი და არ ირიცხება აქტიურ რეზერვში;
- „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე სარგებლობს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გაწვევის გადავადების უფლებით და შეუსრულდა 27 წელი ან აღნიშნული ასაკის მიღწევამდე გამოთქვა სურვილი ნებაყოფილობით ჩაირიცხოს სამობილიზაციო რეზერვში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პირი, რომელიც სინდისის, აღმსარებლობის ან/და რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხვაზე, ჩაირიცხება „არასამხედრო, ალტერნატიური შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეზერვში. ასეთი პირები არ წარმოადგენენ სამხედრო მოსამსახურეს და მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივ და ტექნოგენურ მდგომარეობაზე რეაგირებისათვის, ასევე, მობილიზაციის დროს არასაბრძოლო მიზნებისთვის. მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „არასამხედრო, ალტერნატიული

შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული პირები არ გაივლიან საბრძოლო მომზადებას. მათ შესახებ ინფორმაცია ასახული იქნება ელექტრონული მართვის სისტემაში.

<u>მნიშვნელოვანი სიახლეა სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემა</u> - აღნიშნული სისტემა მოიცავს სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს, რაც გაზრდის სამობილიზაციო რეზერვის ოპტიმალური გადანაწილება-გამოყენების, ასევე ქვედანაყოფების გაძლიერების და დანაკარგების უწყვეტი შევსების შესაძლებლობებს.

მართვის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შექმნის და ოპერირებას გაუწევს <u>ელექტრონული მართვის სისტემას,</u> რომლის საშუალებითაც განხორციელდება სამობილიზაციო რესურსის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კატეგორიზაცია. აღნიშნულ ელექტრონულ სისტემას მართავს სამინისტრო.

ცვლილებებს განიცდის, ასევე <u>სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა გაწვევის და გამოძახების ინსტიტუტიც.</u> კერძოდ - მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, რეზერვისტის გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და მუნიციპალიტეტი. ახალი პროექტის მიხედვით, სამობილიზაციო რეზერვისტების გაწვევას გამოაცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა ან საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ხოლო მათ გამოძახებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონპროექტის მიხედვით, მკაფიოდ განისაზღვრება ის გარემოებები, როდესაც შესაძლებელი იქნება სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირთა სამობილიზაციო სამხედრო სამსახურში გაწვევა, ეს არის:

- საომარი მდგომარეობა - გაწვევას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი;
- საგანგებო მდგომარეობა, აგრეთვე საგანგებო სიტუაცია - გაწვევას აცხადებს საქართველოს მთავრობა;
- სამობილიზაციო მზადყოფნის შემოწმება ან/და რეზერვისტების მომზადება - გაწვევას აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინიტრი.

ცვლილებას განიცდის ასევე სამხედრო სარეზერვო სამსახურში <u>გაწვევის საკითხი</u> და რეზერვის საკითხების სრულყოფილად დარეგულირების მიზნით იქმნება <u>სამობილიზაციო კომისია.</u> აღნიშნული კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდება ახალი პრინციპების გათვალისწინებით და კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები.

სამობილიზაციო რეზერვში გაწვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება (გადამოწმება) მოხდება მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის შესაბამის ორგანოებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ან/და რეზერვისტის გამოძახების შემდეგ სამხედრო-სამედიცინო შემოწმების დროს, რომელიც ტარდება წვევამდელისათვის „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

<u>რეზერვისტების მომზადება</u>

<u>კანონპროექტში ცალკე მუხლი ეთმობა რეზერვისტების მომზადებას</u> - რეზერვისტების მომზადების მიზანია, სასწავლო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ასევე ცოდნისა და უნარ-ჩვევების გეგმაზომიერი დანერგვის გზით:

- სამხედრო ძალებისათვის გაწვრთნილი, შესაბამისი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობებით მომზადებული მაღალპროფესიული რეზერვის ჩამოყალიბება;
- რეზერვის სამეთაურო რგოლის - ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის დაკომპლექტება, მათი აქტიური მომზადება და გადამზადება;
- რეზერვისტების მაღალი ინდივიდუალური მომზადების მიღწევა.

რეზერვისტების მომზადება ხდება სამხედრო შეკრების დროს, როდესაც რეზერვისტი გადის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ <u>სპეციალური მომზადების პროგრამას.</u>

<u>სარეზერვო სამსახურისაგან გათავისუფლება და გაწვევის გადავადება, დაჯავშნა</u>

მთლიანად იცვლება სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურისაგან გათავისუფლების და გაწვევის გადავადების ასევე მობილიზაციის დროს რეზერვში მყოფი პირების დაჯავშნის წესი და პირობები. კერძოდ, საჯარო და კერძო დაწესებულებების შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული იქნება აღნიშნული დაწესებულებების ნუსხა და იმ პროფესიების/თანამდებობების ჩამონათვალი, რომელთაც საომარი მდგომარეობის დროს არ შეეხება რეზერვში გაწვევა. პროექტის თანახმად, აღნიშნული კერძო და საჯარო დაწესებულებები, მთავრობის დადგენილების და ელექტრონულ მართვის სისტემაში განსაზღვრული კვოტების/ლიმიტის ფარგლებში უშუალოდ განახორციელებენ ელექტრონული მართვის სისტემაში ზემოთ აღნიშნულ პირთა დაჯავშნას, რაც კანონპროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

<u>სამობილიზაციო რეზერვში გაწვევა განხორციელდება შემდეგი პროცედურით:</u>

I ეტაპი - სამობილიზაციო რეზერვის გაწვევის შესახებ აქტის გამოცემა პრეზიდენტის, მთავრობის ან თავდაცვის მინისტრის მიერ;

II ეტაპი - გენშტაბის უფროსის მიერ განისაზღვრება გაწვევას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა, ხოლო შერჩევის კრიტერიუმებს მინისტრის ნორმატიული აქტით. ეს არის რეზერვის სისტემის მართვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომელებიც განსაზღვრავენ გასაწვევ პირთა კონკრეტულ კრიტერიუმებს (ტანკისტი, მფრინავი და ა.შ.) და რაოდენობას. კრიტერიუმებს მიენიჭება ქულები და გაწვევა განხორციელდება რიგითობის მიხედვით დაგროვილი ქულების შესაბამისად. წინამდებარე რეგულაცია უზრუნველყოფს სამობილიზაციო რეზერვის გაწვევის პროცესში კორუფციული რისკებისგან დაცვას;

III ეტაპი - მუნიციპალიტეტების მიერ კონკრეტული გასაწვევი/გამოსაძახებელი პირების შერჩევა ელექტრონული მართვის სისტემაში;

IV ეტაპი - მუნიციპალიტეტების მიერ გაწვევას დაქვემდებარებულ პირთა გამოძახება;

V ეტაპი - ტრანსფორმირებული სამობილიზაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება საკითხზე - ექვემდებარება თუ არა გამოძახებული პირი რეზერვში გაწვევისგან გათავისუფლებას ან გადავადებას. ნიშანდობლივია, რომ კომისია არ მიიღებს გადაწყვეტილებას პირის სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში გაწვევის შესახებ და იმსჯელებს მხოლოდ გაწვევის გადავადების და გათავისუფლების საკითხებზე ;

VI ეტაპი - მუნიციპალიტეტების მიერ სამობილიზაციო რეზერვისტის შემკრებ პუნქტში მიყვანა;

VII ეტაპი - ეროვნული გვარდიის მიერ სამობილიზაციო რეზერვისტის შემკრები პუნქტიდან მიმღებ პუნქტში მიყვანა;

VIII ეტაპი - მიმღებ პუნქტში წარდგენილი რეზერვისტის სასწავლო ან საბრძოლო ქვედანაყოფში ჩარიცხვა.

<u>სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირთა სოციალური დაცვა</u>

კანონპროექტის თანახმად, რეზერვისტი, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში სარგებლობს სამხედრო მოსამსახურისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით. მას სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდად (შრომის სტაჟი) ჩაეთვლება:

ა) აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - კონტრაქტით გასაზღვრული პერიოდი;

ბ) სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შემკრებ პუნქტში გამოცხადებიდან სარეზერვო სამსახურის დასრულებამდე პერიოდი.

სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს სამხედრო სამსახურის წელთა ნამსახურობაში ეთვლება:

ა) აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შესაბამის სამხედრო ქვედანაყოფში ყოფნის პერიოდი;

ბ) სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - სამხდრო სარეზევო სამსახურის გავლის პერიოდი.

სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოძახების პერიოდში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ხელფასი, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

<u>რეზერვისტის შრომის ანაზღაურება</u>

აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირს მიეცემა ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, რომელიც იქნება მისი წოდებრივი სარგოს 20%-ი, ხოლო გამოძახების და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში - შრომის ანაზღაურების სრული ოდენობა.

კანონის ამოქმედების ვადები

კანონის პროექტის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება 2018 წლის 1 ივნისიდან, ხოლო სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონული მართვის სისტემის ნაწილში 2020 წლის 1 ივნისიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ:

1) რეზერვისტების შრომის ანაზღაურება:

აქტიურ სარეზერვო სამსახურში მყოფი პირის წლიური სახელფასო ანაზღაურება, საშუალოდ იქნება 3582 ლარი, რომელიც შედგება 2090 ლარს (წ/სარგოს 20%-ი წლის განმავლობაში) + 1492 ლარს (წ/სარგოს 100%-ი 45 დღეში). დღეს არსებულ ფინანსური გაანგარიშების მიხედვით რეზერვისთვის დადგენილი წლიური დანახარჯი შეადგენს - 1492 ლარს, შესაბამისად ახალი პროექტის მიხედვით აღნიშნულ ხარჯთან მიმართებაში დანახარჯების ზრდა იქნება 2090 ლარი.

2018 წელს იწყება საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აქტიურ რეზერვში 260 პირის მიღებას. 2018 წლის განმავლობაში აქტიურ რეზერვში მყოფი პირების შრომის ანაზღაურების, კვების, აღჭურვის და მომზადების მთლიანი ხარჯი შეადგენს - 1 370 934 ლარს.

2) სამედიცინო შემოწმება

აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი პირების სამედიცინო შემოწმებას უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურისათვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ხოლო რაც შეეხება სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურს, ამ ეტაპისათვის უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტრო არ გეგმავს საწვრთნელ სამობილიზაციო შეკრებებს.

შეკრებების დაგეგმვის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ იქნება გათვალსიწინებული სამედიცინო შემოწმების ხარჯები. რაც შეეხება საგანგებო და საომარ მდგომარეობაში რეზერვისტების გამოყენებას, ამ შემთხვევაში სამედიცინო შემოწმების ხარჯები შესაძლებელია დაფინანსდეს შესაბამისი სარეზერვო ფონდებიდან.

3) ელექტრონული მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა:

სამხედრო რეზერვის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით სამობილიზაციო რეზერვისტების ელექტრონულ ბაზას, რომლის გამოყენებითაც

ავტორიზებულ პირებს საშუალება ექნებათ საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ინფორმაცია გარკვეული კრიტერიუმების და მოთხოვნების მქონე სამხედრო რეზერვში მყოფი პირის შესახებ. სისტემაში მონაცემების შეტანა განხორციელდება ავტომატურ რეჟიმში სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან, მათ შორის საჯარო რეესტრის ბაზიდან, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამიდან. აღნიშნულ პროგრამაში სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხული პირების შესახებ მონაცემების შეყვანას განახორციელებენ მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები, ხოლო აღნიშნული ბაზის მართვას (პროგრამულ უზრუნველყოფას) განახორციელებს თავდაცვის სამინისტრო.

სამობილიზაციო რეზერვის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე განთავსებული უნდა იქნეს თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ ქსელში, რათა უზრუნველყოფილ იქნას კავშირი სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების მონაცემთა ბაზებთან. სისტემის სრულყოფილად და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი განთავსება, როგორც თავდაცვის სამინისტროს მთავარ მონაცემთა ცენტრში, ასევე სარეზერვო მონაცემთა ცენტრში, რომლის შექმნაც დაგეგმილია 2018 წელს, თუმცა პროექტში აქცენტი გაკეთებულია თავდაცვის სამინისტროს შიდა ქსელში არსებული სერვისების დუბლირებაზე. მონაცემთა შენახვის სისტემებისთვის გამოყენებული უნდა იყოს მაღალმდგრადი დისკური მასივები, რომლებსაც ყველა კომპონენტი დუბლირებული ექნება.

პროექტის შესრულების განრიგი:

1. პროექტის გუნდის ჩამოყალიბება;
2. არსებული სიტუაციის ანალიზი;
3. ტექნიკური დავალების მომზადება;
4. სასერვერო ინფრასტრუქტურის განახლება/შესყიდვა;
5. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება;
6. პროგრამული უზრუნველყოფის სატესტო რეჟიმში გაშვება;
7. პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა სხვადასხვა უწყებებში.

პროექტის ვადები:

პროექტის ანალიტიკური ნაწილის დაწყების თარიღია 2017 წლის 1 დეკემბერი. ანალიტიკური ნაწილი მოიცავს 5თვეს.

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დაწყების თარიღია 2018 წლის 1 მაისი და მოიცავს 12 თვეს.

პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა/ტესტირების დაწყების თარიღია 2019 წლის 1 მაისი და მოიცავს 8 თვეს.

ბიუჯეტი

დანიშნულება	**ერთეულის ფასი**	**თვეების რაოდენობა**	**ერთეულის რაოდენობა**	**საერთო ღირებულება**
პროგრამისტი	6250 ლარი დარიცხული	24	4	600 000 ლარი

ანალიტიკოსი	6250 ლარი დარიცხული	24	2	300 000 ლარი
სასერვერო ინფრასტრუქტურა			1 000 000 ლარი	1 000 000 ლარი
				სულ - 1 900 000 ლარი

შენიშვნა: წინამდებარე ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამისტებისა და ანალტიკოსების შრომის ანაზღაურება 2018 წელს იქნება ცხრილში მითითებული თანხების ნახევარი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გარკვეულ გავლენას მოახდენს იმ პირთა ფინანსურ შედეგებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, კერძოდ:

- აქტიურ სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირებს დაენიშნებათ ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (ხელფასი);

- რეზერვში მყოფი პირები სამსახურის გავლის (გაწვევის/გამოძახების) შემთხვევაში ისარგებლებენ კანონმდებლობით სამხედრო მოსამსახურეთათვის დადგენილი დაცვის გარანტიებით;

- რეზერვისტს, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდად **(შრომის სტაჟი)** ჩაეთვლება: ა) აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - კონტრაქტით გასაზღვრული პერიოდი; ბ) სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შემკრებ პუნქტში გამოცხადებიდან სარეზერვო სამსახურის დასრულებამდე პერიოდი;

- სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს **სამხედრო სამსახურის** წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება: ა) აქტიური სარეზერვო სამსახურის შემთხვევაში - გამოძახების შემდეგ შესაბამის სამხედრო ქვედანაყოფში ყოფნის პერიოდი; ბ) სამობილიზაციო რეზერვის შემთხვევაში - სამხედრო სარეზევო სამსახურის გავლის პერიოდი.

- სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოძახების პერიოდში რეზერვისტს შეუნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ხელფასი, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.